

„ასკანობა“ მეთექვსმეტედ აღინიშნა

ალიონი. 30 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში მე-16 აღინიშნა სახალხო დღესასწაული „ასკანობა“, რომლის დაარსება ძებ ასკანლებს უკავშირდება. ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

ამ დღეს სოფელში აღდგა ბიბლიოთეკა, გაიმართა სპორტული ღონისძიებები: ფეხბურთი, ღოლი, მკლავმჭიდლი და ა.შ. ფეხბურთში ასკანის,

ფინიზიკარის, მთისპირისა და ბასილეთის გუნდები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. წელს ასკანელებმა მოიგეს ტურნირი. მათ ფინალში ფინიზიკარის გუნდს სძლიეს.

გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადასცეს.

ადგილობრივ მოსახლეობას სცენიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა - მერაბ ჭანუყვაძემ მიმართა: -

„გულოცავ „ასკანობის“ დღესასწაულს ამ განსაკუთრებულ სოფელს. სულ მალე, აქ მასშტაბური პროექტები განხორციელდება. უახლოეს

დღეებში დაიწყება 7 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია, გაზიფიკაცია, რესტავრაცია ჩაუტარდება ასკანის ციხეს. სოფელი გამოცოცხლდება და კომფორტული გახდება, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ტურისტებისთვის.“

თბილისიდან, ბათუმიდან, საქართველოს სხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს მიესალმა გურიის გუბერნატორი ვია სალუქვაძე.



ა ლ ი ო ნ ი

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის
1931 წლის
5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

მრავალკვირეული გამოშვება. №36 (10177), 5 სექტემბერი, 2016 წ. შპსი 50 თეთრი.

ოზურგეთელი ახალი მსოფლიო ჩემპიონი



საფრანგეთში გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის ქართველმა ფალანგებმა დიდი სიხარული მოუტანა გულშემოტიკურებს. მათ 4 ოქრო და ერთი ბრინჯაო და გუნდური პირველობა მოიპოვეს. სასიხარულოა, რომ გამარჯვებულის კვარცხბეკზე ოზურგეთის საჭი-

დაო სკოლის აღზრდილი, ქ. ოზურგეთის №2 სკოლის კურსდამთავრებული დავით ჩხარტიშვილი ავიდა. ასევე მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: გიორგი მელია, რამაზ ზოიძე, ზვიად პატრიაა, ხოლო ნუგზარ წურწუშია ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ვულოცავთ!

რეკლიკა უნებლით

შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, უფასო სასაბუღალტროში ამ დღეებში ბენეფიციარებისთვის საკვების უფასოდ მიწოდება, გაურკვეველი მიზეზებით, შეფერხდა. როცა აღნიშნული მიზეზით საგნობრივად დაფინანსებული დაფინანსების მომსახურე პერსონალმა საკითხის არსში გარკვევაც არ ისურვა და იქ მისულები ისეთი ცივი და კატეგორიული უარ-

ით, თანაც უცერემონიოდ (!) გამოგვისტუმრა, გამტკნარებულნი დავრჩით (ახლავე და თანაც სასწრაფოდ დატოვეთ აქაურობა)!... მომხდარი ინციდენტის თაობაზე პასუხს კვლავაც დაბეჯითებით მოველით აღნიშნული სასაბუღალტრო მესვეურებისაგან...

ნუკრი ნიკოლაიშვილი

ოზურგეთელმა „ნაციონალებმა“ ფეისბუქში გაზეთ „ალიონის“ ლანკლით ააქოთეს

პარტი იქნება თუ ბაიოვალისფინებენ, რომ საქართველო „ნაცებისა“ და „ძოცების“ კი არა, უფლის ფილსვედრი ძვეყანაა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და მათმა მხარდამჭერებმა ფეისბუქი გაზეთ „ალიონის“ ლანკლით მას შემდეგ ააქოთეს, რაც ამ გაზეთის წინა ნომერში ოზურგეთში 21 აგვისტოს ქალბატონი სანდრა რულოვის ვიდეოს შესახებ „საქინფორმის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სარედაქციო წერილი გამოქვეყნდა. შესავალშივე ვიტყვი, თუ ამ მასალაში რაიმე უზუსტობაა, ოზურგეთელმა „ნაციონალებმა“ უპირველესად, თავიანთ თავს უნდა დააბრალონ, რადგან ადგილობრივი მედიასაშუალებებიდან მხოლოდ ერთს, ისიც მათთვის სასურველს, უხმეს ამ ვიდეოზე განაწილებულმა „ნაციონალებმა“, გამოცდილებამაც და ახალბედეებმაც, გაზეთის რედაქტორ ნუგზარ ასათიანზე მიტანეს იერიში და სულ ცოტა ხნის წინ სასწაულებრივად სიკვდილსამოვლელად კაცის ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენეს. ამ საქმეში ნუგზარის „დანაშაული“ კი მხოლოდ ისაა, რომ მწვანე შუქი მისცა სარედაქციო წერილს, რომლის ავტორი ვარ მე, თებურ მარმანიშვილი, გაზეთ „ალიონის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი, ვინც ამ წერილის გამო, დღეგრძეობით რომ გამოცოცხლონ, თავის მართლების რეჟიმში არ გადავად და არავის მოუხდის ბოდიშს, რადგან საბოლოო ნამდვილად არაფერი ჩამიღენია.



შეურაცხყოფელ სტატუსებს რომ გადავხედო, უბედესობა მინც წერილის ავტორზე

მოდის და იბულებული ვარ, ვიბეში ხელის ჩაუყოფლად, „ზურდა დავუბრუნო“ „მსუყვე ებითუტებით“ გაზეთისა და ჩემს „შემამკობელ“ ბატონებს. ამიტომ, მკითხველთან ბოდიშის მოხდით, ამ აბზაციდან უკვე პირველი პირის მრავლობით რიცხვში გაავრცელებს საუბარს. — არ გრცხვენიათ, რას ბეჭდავთ, ეს როგორ იკადრეთო? — როგორც გაზეთის რედაქტორმა მითხრა, ასეთი ყოფილა, ბატონებო, თქვენი ერთ-ერთი ადგილობრივი ლიდერის პირველი სატელეფონო ხარი. ამ კითხვის დასამდე, კარგი იქნებოდა, ერთხელ მანც ხელი მოგესვათ და მოგესინჯათ, შუბლის ძარღვი ხომ არ გაქვთ გაწვევბილი? ცამეტი კი არა, ცხრაჯერ ცამეტი წელი რომ გავიდეს, ხალხს რა დაავიწყებს „ნაციონალური“ რეუ-

იმის მიერ ცხრა წლის განმავლობაში უსირცხვილოდ ნაკადრებს?! გადავმოწმებინათ მანცო. და ვისთან? თქვენთან? ისეთივე ინფორმაციას მოგვცემდით, როგორც გაავრცელებთ, სინამდვილეში ასე შეზღუდნო და რაც მოხდა, იმაზე კრინტს არ დაძრავდით (ორიოდე ფაქტს ცოტა ქვემოთ მოგასხენებთ). ისე, ხომ ვერ ამისხნიდით, რა ვალდებული ვიყავით, რატომ უნდა გადავგვემოწმებინათ ოფიციალური სააგენტოს ოფიციალური მასალა?! ხო-ხო-ხო, რა ნიაღვარი დაძრავთ, რა „პოლიფონური“ აკაკანდით: დიდი ალბათობით, ხან კაცებს სამსახურში მყოფ საქინფორმთან გვაქვს კავშირი და განარებით ვბეჭდავთ ჩვენს ტყუილების სავესე გაზეთში მის ინფორმაციებს, რისთვისაც ეტყობა

კარგად გადავხედეს, ხან ხელისუფლების მსახური ვართ, ხან „ლენინის დროშის“ სამართალმემკვირე (უბრალოდ სახელი გვეკონია შეცვლილი), ხან მაკულატურა, როგორც, წინა საკრებულოს ყოფილმა წევრმა ზურაბ მეტეხიძემ გვიკვირებდა ვუმათიდან, ხანაც კიდევ ოზურგეთის „ასავალ-დასავალი“... რა ვითხრათ, იცით? ვერავის დაუდგებით ადვოკატად, მაგრამ თქვენი ასავალ-დასავალი და თქვენი ავან-ჩაგანი რომ ნამეტნავად იცან და ამ-ზეურებენ, იმით ვერ იტანთ ვერც „საქინფორმის“ და ვერც „ასავალ-დასავალს“. თქვენთვის ხომ საქართველოში ყველა მედიასაშუალება რუსეთის



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით - 2 ლარი,
სამი თვით - 6 ლარი,
6 თვით -12 ლარი,
ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვრდა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

„ასკანობა“ მეთექვსმეტედ აღინიშნა



— წელს მეთექვსმეტედ აღნიშნავთ ამ დღესასწაულს. მისარია, რომ შარშანს შემდეგ 10 ახალი სიცოცხლე გაჩნდა ასკანაში. ნათლობის შემდეგ მათ მშობლებს გადაეცემთ ჩვენს მიერ დაწესებული ფულადი დახმარება (200 ლარი). გვინდა დროულად დავასრულოთ სოფლის ცენტრში დაწყებული მშენებლობა და ტურისტები მოვიზიდოთ. „კასური ტრადიციული მეღვინეობა“ კვლავაც გააგრძელებს უძველესი გურული

ვაზის ვიშების მოყვარულ მევენახეთა მხარდაჭერას - აღნიშნა „კასური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელმა ზურაბ ჩხაიძემ. ღონისძიებას ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ არჩილ თალაკვაძე ესწრებოდა. სახალხო დღესასწაული „თეატრალური კვარტეტისა“ და მომღერალ ბექა ჩხაიძის კონცერტით დასრულდა.

გიორგი სალუქვაძის სახელობის სასლ-მუზეუმი



გიორგი სალუქვაძის სახელობის სასლ-მუზეუმი „შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალში“ მონაწილე უცხოურმა კოლექტივებმა გურული ეთნოგრაფიული კარ-მიდამო დაათვალიერეს. შვეიცარიელმა, თურქმა და იტალიელმა სტუმრებმა წარმოადგინეს თავიანთი ფოლკლორი. ღონისძიებას გურიის გუბერნატორი

გია სალუქვაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი ღონაძე, ხელ-ოცნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ჭკუასელი, გიორგი სალუქვაძის მემკვიდრეები და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრნენ. შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა ქართული სამზარეულოც დააგემოვნეს.

ანსამბლ „გურიას“ საიუბილეო საღაამო გაიმართა



გასულ პარასკევს ქალაქ ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში ქალაქ ოზურგეთის მერიის ვ. ღუნდუას სახელობის ქართული-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლ

გურიას საიუბილეო საღაამო გაიმართა. ღონისძიებაზე აღინიშნა ჯუმბერ ღუნდუას 75, ანსამბლ „მეგობრობის“ 40, ანსამბლ „გურიას“ 20 წლისა და ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიას 30 წლის იუბილე. კონცერტის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა ანსამბლ „გურიას“ სახელობის ვარსკვლავი. ღონისძიებას გურიის გუბერნატორი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქორეოგრაფთა კავშირის წარმომადგენლები, ჯუმბერ ღუნდუას მემკვიდრეები და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრნენ.


შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალს გურია უმასპინძლა

ალიონი. 1-3 სექტემბერს, ოზურგეთსა და შეკვეთილში შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალი წელს პირველად „Check in Georgia“ ფარგლებში ჩატარდა და მას გურია მასპინძლობდა. ფესტივალში მონაწილეობდნენ იტალიის, შვეიცარიის და თურქეთის ანსამბლები. ფესტივალში 4 ქვეყნის 24 ანსამბლი იყო 400-მდე მონაწილით. ფესტივალი 1 სექტემბერს, ოფიციალურად გაიხსნა. მასში მონაწილეობდნენ: ანსამბლები „შვილკაცა“, „ვახტანგური“, „შემოქმედი“ „იაღონი“, გოგონათა ანსამბლი „რეხული“, ანსამბლი „ამაღლება“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურია“, „აკაურა“, „მხედრები“, ტრიო „ხელხვაი“. 2 სექტემბერს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იყო ანსამბლები: „რუსთავი“, „ბა-

სიანი“, „მგალობელ მომღერალთა გუნდი“, „ლიდგორი“, „გოგონათა ანსამბლი“, „იაღონი“, „ლენტეხის ფოლკლორული ანსამბლი „ლაგუმედა“, ფოლკლორული ანსამბლი „შუახვევი“, „ძველი თაობა.“ 3 სექტემბერს შეკვეთილში, „Black Sea Arena“ გამართულ კონცერტში ანსამბლები, სუხიშვილები, „რუსთავი“, „ბასიანი“, „რიპო“, „ლაგუმედა“, „ფესვები“, „მარეთი“, უხუცესთა ანსამბლი „ბერმუსა“ მონაწილეობდნენ. ფესტივალი წელს პირველად „Check in Georgia“-ს ფარგლებში ჩატარდა. იგი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და „ლაკე შვა რენა“-ს მხარდაჭერით გაიმართა.



ENPARD-ის ორგანიზებით ოზურგეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენა გაიმართა



ალიონი. შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალის პარალელურად ქ. ოზურგეთში, სახელმწიფო თეატრის ფოლკლორის დარბაზში, დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. წარმოდგენილი იყო მეღვინეობა-მევენახეობის, ჩაის, თხილის, რძის პროდუქციის ნარსხეობები. სს კოოპერატივი „კობიძების მარანი“ ჩონატაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ერკეთში ფუნქციონირებს. კოოპერატივის თავმჯდომარის დავით კობიძის თქმით, მას 2 ჰექტარი ზვარი აქვს, სადაც გაშენებულია „ჩხავერი“, „აღდასტური“, „კოლიკოური“ აშავად ერთ ჰექტარ ფართობზე გურული ვაზის სხვა ვიშები გაშენდა: „ჯანი“, „საკმილა“, „მისილათუხანი“, „მტკვანდილი“, „ჭუმუტა“, „ოფოურა“, „ნაკამიხის ჯანი“, „მტრედისფენა“ და ა.შ. ემპარდის დაფინანსებით შეიძინა ღვინის ჩამოსასხმელი აპარატი, საცობის მექანიკური დამცობი და საკუთარ მარანში „ჩხავერის“, „აღდასტურის“ და „კოლი-

კაურის“ ჩამოსხმას აწარმოებს. „კოლიკოური“, (კუბაქი), „ჩხავერი“, „სხილათუხანი“, „ჯანი“ ჰქონდა წარმოდგენილი კოპერატივი „ბუკისკიხეს“ (ბეზლარ სინარულიძე). ჩაის ნაწარმი ჰქონდა წარმოდგენილი კოოპერატივი „ჩხათის“ (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, გელა ზოიძე) და „ნაგომარს“ (ნანი ყირმელაშვილი). ნაწარმი ყირმელაშვილმა ორი სახის ჩაის ნიმუში გვაჩვენა: „ინტერსოური“ და „დელიკატური“ ისინი ჩაის ნედლეულს გლეხებიდან ყიდულობენ. აშავად 10 ჰექტარი ჩაის რეაბილიტაციას გეგმავენ. სულგური და რძის სხვა ნაწარმი წარმოდგენა კოოპერატივმა „წიქარამ“ (სოფ. გვიმრალოური, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი). ასევე წარმოდგენილი იყო „ფერმერი 2015“ (აშაშის მუნიციპალიტეტი), „გურიის თხილი“ (ჩხაბთი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი): თევზის წარმოება — კოპერატივი „ქულაქი“ (ცაგერის მუნიციპალიტეტი). გამოფენამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

დაიწყეთ ყოველი
ოჩხაბათი აღიონზე
«ალიონით»

ოზურგეთში „ნაციონალურ“ ფეისბუქი გაზეთ „ალიონის“ ლანძვით ააქოთეს

პარტი იმნება თუ გაითვალისწინებენ, რომ საქართველო „ნაციონალ“ და „ქოცების“ კი არა, უფლის ფილსველრი ძვეყანაა

აგენტი და ქვეყნის მოღალატეა, „რუსთავი-2-ის“ გარდა!

რაც შეეხება იმას, სსენებულ პუბლიკაციაში თურმე კარგად გადავიხადეს. ნეტავ სიმართლე იყო, ვერცე იფიქროვდნენ ზონაში ვუკრავდით თავს, როგორც ეს თქვენმა „მიშკა“ „ნაციონალურმა“ ჰქნეს და ხელისუფლებამაც რომ მოზრდნდეთ, ვერაფერს დაგაკლებთ. მაგრამ, სად არის, ბაბაიბო, ფული?!

ისე გასხვდეთ, რამდენი დამართია, იმდენივე ადმართია, ერთხელაც ერთ-ერთ ადმართს ვერ დამოვსდები, დეარცოფად იქცევა და წაგლეკავთ თქვენ მერ აგორებულ და უკან დაბრუნებული ვე ცილისწამებების ნიღვარი; ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენს „მაკულატურაში“ შესაძლებელია თქვენთვის არც თუ ისე სასამართლო ფაქტები ამოიქეცოს.

რა პოლიტიკური ამინდის შემქნელი თქვენი გაზეთია? – ირონიულად ვადაინარო. პოლიტიკური ამინდი, უპირველესად, პოლიტიკოსებმა უნდა შექმნან და იმ სისხლიან დღეებებს, რაც თქვენმა მოძრაობამ ქვეყანას თავს დაატეხა, თუ პოლიტიკურ ამინდად ავასებთ, ისე ცდებით, როგორც დრომოქმედი, დაბალკვალიფიკაციანი სინთეტიკოსები.

არარსებული ხელშეკრულების გაუქმებით და გაზეთზე ხელმოწერის შეჩერებით გვეპუქებით. საწინააღმდეგარო გავუძღვებთ, თქვენს 48-ლარიან (ერთი წლით ორი ეკვმპლარი გაზეთის ხელმოწერის ფასი) „ეკონომიკურ ბლოკადას“. თუმცა, შედეგით ასე ადვილად ნამდვილად ვერ შეგვეღვით, მით უფრო წინასწარჩენი და არჩევნების პერიოდში. გაბრდებით, მისხალს არ დავიკარგავთ სიმართლის, თუკი შემოგრნათ ასეთი, მაგრამ არც სიცრუესა და დემაგოგიას

შეგარჩენთ, რაც ყველაზე მეტად ხელშეწყობს თქვენს რეპუტაციას მდღევანდელ პარტიას.

„სამწესრიგად, არა მარტო თქვენ, უმეტესობა უკრნაღისტებიდან მოსყიდული ბრძანდებით მოქმედი ხელისუფლების მხრიდან!!! გთხოვთ არ შექმნამთ, რადგან ფაქტებით შემიძლია გელაპარაკოთ!!!“ – ექვსი ძახილი ნიშნით ხმაურით „ფეისბუქში“. მერ რატომ არ ასახელებთ, თუ მაინცა და მაინც „მეგლი ბიჭვით უნდა დავიფინოთ, ვინც არ დაასახელოს...“

თქვენს რომელიღაც ნავსაყუდელში „მედიაცენტრთან“ რომ კონსულტაცია გავივლიათ, ეს უცვლელია, მაგრამ ბევრი რამ რომ ვერ ავითვისებთ, ესეც ცხადია. ასე რომ, თუ ფული არ გავიდათ, დრო ამაღ მოგიკლიათ თქვენი პოლიტიკური „მოღვაწეობისათვის“.

მოკლედ, არ „ვაბუდავდეთ“ და მტერი არ გაასართო, როგორც ერთ-ერთ თქვენგანს აქვს ერთ-ერთი ფეისბუქის მეგობარი.

ახლა კი, ვიზარებთ თქვენს მოწოდებას მხოლოდ ფაქტებით ვილაპარაკოთ და ვიპაიფს ამსახველ თუნდაც თქვენურ ინფორმაციას. თქვენგან განსხვავებით, საზოგადოებას სწორედ ასეთი ფაქტები აინტერესებს და არა ის, ვინ როგორი მტლამ-მტლუმით შეგვება ოზურგეთის ბაზარსა თუ ცენტრალურ უნივერსიტეტში საქართველოს ყოფილ პირველ ლეღს.

ფაქტი პირველი: ქოცებან თაღაკაბე, აგრარული ბაზრის შესავალში ვაჭრობს და როგორც თვითონ ვითხრა, არანაირი პაროფუნული დაპირისპირება არ აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის მხარდმჭერებთან, მაგრამ მისთვის ძალიან

გამდინანებელი აღმოჩნდა მოვარგებში ქალბატონი სანდრას გამოჩენა. თუ რატომ, ამ დილოგიდან გამოჩნდება:

– ქალბატონი ქოცებან, ვითხართ მოკლედ, რა მიხდა აგრარულ ბაზარში სანდრას მოსვლისას.

– მივიდა სანდრა. ზოგიერთები კი შეხედნენ მთელი ოვაციებით, მაგრამ ჩვენ გავლიზანდით. მათაც დღეცოთ ჩვენს ნათქვამზე გაღიზანება.

– ვინ თქვენ?

– ვინც აქ ვვაჭრობთ.

– რამ გამოიწვია თქვენი გაღიზანება და რა უთხართ ისეთი, იმინიც რომ გაღიზანდნენ?

– რამ გამოიწვია და ვეღვით, არ უნდა ჩამოსულიყო მეტი გურიაში. სამგერელოში როგორ მიღეს, მაი არა ჩემი საქმე, მაგრამ გურიაში არ უნდა ჩამოსულიყო. გურიის წარმომადგენელი, აკადემიკოსი კაცი ძალიან თქვენს რომ მოკლეს,

– გურამ შარაძეს გულისხმობთ?

– დას, გურამ შარაძეზე ლაპარაკი. მაგენის მთავრობა ზომ იყო მაშინ, მისი მეუღლე იყო სათავეში. იმის მიხედვით არ დურჩა არც ერთს, აი, ზუსტად ეს სიტყვები უთხრა: იმის მიხედვით არ დავიჩინე არც ერთს, ზეწარი წაგვარებინე, რომ მთელ მსოფლიოს არ დაენანა მიცვალებული ქვენა რომ ვეღო ნახევარი სათითო.

პირდაპირ ვუთხარი, მკვლელების პარტიას თქვენი პარტია-მეთქი. ამასობაში მაგათ შურაცხყოფა მაიყენა ვიღაც ბიჭმა და იმ ქალმა დაიწყო ყვირილი, არიქა, როგორ გვაყენებენ შურაცხყოფასო.

– ვინ ქალმა, ქალბატონი?

– არ ვიცი, უცხო იყო, ოზურგეთელი არ იყო, მათ ახლად. მე ვუთხარი, შურაცხყოფა კი არა, შეგისრულონ უნდა ის

გინება, თქვენ იმდენს იმსახურებთ-მეთქი. მითხრეს, რატომ საუბრობთ ასე, რა დავიზება „ნაციონალურმა“ ასეთი? პირადად ჩემთვის არაფერი დღე-ღამეა-მეთქი, გავეცი პასუხი. ჩემთვის არაფერი არ დღე-ღამეა, მარა მე იმ წუთას ირინა ენუქიძის სახელით ველაპარაკებოდი. ერთადერთი მოკლეული შეიღის დღის სახელით გელაპარაკებთ და ყველა დედა, ქართველი დედა, რომ იმის სახელით დაიწვებს ლაპარაკს, ვინც გაამწარა თქვენმა მთავრობამ, მაშინ თქვენ აქ ვერ უნდა გაიაროთ, ოზურგეთში კი არა, საქართველოში ვერ უნდა დადიოდეთ-მეთქი.

ერთმა მითხრა, რე ნერვიულობ, ქალბატონო და მე ვუთხარი, არ ვნერვიულობ, მე რა მაქვს სანერვიულო, თქვენ გაქვთ სანერვიულო, რომ ასეთი საძაგლები და მკვლელები ხართ, არ ვიცი... ამასობაში ერთი გოგო გამოვიდა ხალხში და უთხრა დედაძისს – დედა, ამით აქნე აჭარიდან დახვედრანო. მერე რა, რომ აჭარიდან დახვედნენ, ჩვენ არ ვართ აჭარიდან და ერთმა ამომიღო პასპორტი, რომელმაც ეწერა, რომ ჭორვილადან იყო. ვაი შენს პატრონს თუ ჭორვილადან ხარ და სანდრას ახლაგზარ-მეთქი, მივახალე მას.

– ეს ყველაფერი ამ ტერიტორიაზე მიხდა?

– ავერ აქნე, სადაც ახლა ვვგავართ, აქნე იყო თვითონ. ყველა იყო აქნე.

– ზომ არ დავებუქებთ?

– დაბუქებით ნამდვილად არ დამბუქებან.

– აბა მოვალთო და...

– არა, მეტი როგორ იყო იცით?

კვაჭანტრაძე რომაა, იმ ბიჭმა, საგადასახლოში რომ მუშაობდა, აქნე გამოარა, დამინანა თურმე რომ ვიყავი, მე არ

მიმიქცევა ყურადღება, თავი გადაუქცევა, მოვალთო და მერე ალბათ რაღაცას ვიზამთო, მაგრამ მტერია, მეტნი არ მევიღენ...

ფაქტი მორე: ბუკლეტებით ხელში ქალბატონი სანდრას ცენტრალურ უნივერსიტეტში გამოჩენას, როგორც გვითხრეს, ოვაციებიც მოჰყვა და რეპლიკებიც. აქვე მოვაჭრე ქალბატონმა ქოცებან ლლონტამ სტუმრის თანხმლებ ოპერატორს თხოვა ვიდეოკამერა მისკენ შეებრუნებინა და ჩაეწერა, რასაც იტყოდა. ოპერატორმა თავი აარიდა. სანდრას კი, მიჩვენებთი სიმშვიდითა და ღიმილით ბუკლეტების დარიგებას რომ განაგრძობდა, ქალბატონმა ქოცებანმა მაინც დააწვია თავისი სათქმელი:

„ალარფრის შერეცხვებით, თქვენი ხელისუფლება არ იყო, საღარო აპარატებზე ჩასაფრებებს რომ აწარმოებდა და ვარიბებს ვარიბებზე წერდა?!“

უნივერსიტეტიდან გასვლისას სანდრას თანხმლებ ერთ ქალბატონს, რომელიც თურმე ყველაზე მეტად აქტურობდა, ზედკარის ზღურბლზე რეპლიკაც კი დაუტოვებია: „მაინც მოვა ჩვენი კაცი ხელისუფლებამ და მერე ენახითო...“

უკომენტაროდ!!!

და ბოლოს, კარგი იქნება თუ გაითვალისწინებთ, რომ საქართველო „ნაციონალ“ და „ქოცების“ კი არა, უფლის წილხვედრი ქვეყანაა. მესია ერთია და სხვა ნურაფერ შეეცდება ამ ქვეყანაში მესადა მოვლინებას, თორემ ერთხელაც უფალს ყელში ამოუვა ეს ყველაფერი და ყველას საკადრისს მიუზღავს თავისი მრეკლის დაბეჭდვების და ათასი ჯურის მიმხდურთა ხელიდან წინაპართა მერე სიცოცხლის ფასად გამოგლეჯილი ქართული მიწა-წყლის უთავბოლო

უფასო პოლიტიკური რამბლამა

აეთანდლო (ზურა) ჩხაიძემ ახალი პირადი მოხილური ტელეფონის ნომერი ჩართო მხოლოდ ამოგრძობულთათვის



აეთანდლო (ზურა) ჩხაიძემ – საქართველოს პარლამენტის მაკორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ოზურგეთში ბლოკიან „ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობა“, არჩენებამდე 40 დღით ადრე ახალი პირადი მობილური ტელეფონის ნომერი ჩართო მხოლოდ ამომრჩეველთათვის.

ამის შესახებ დეპუტატობის კანდიდატმა გასულ ოთხშაბათს, 31 აგვისტოს განაცხადა ადგილობრივ მედიასამუშაოებათა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე:

„თქვენც მოვისმენათ, ალბათ, ამომრჩეველთა მხრიდან ხშირად ისმის საყვედური, რომ არჩვენ დეპუტატს და მერე ვეღარ პოულობენ მას. ჩემი, როგორც დეპუტატობის კანდიდატის, პროგრამულ მასალაში, რომელიც თითოეულ თქვენგანს დავირიგდით, ძვეს სავიზიტო ბარათი. ასეთი ბარათი მოუვა ამომრჩეველთა ასოლოტურ უზრავლეობას, მასში მითითებულია მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ჩართო დღეს და დღევანდელ ეს პირადად ჩემი ტელეფონია მხოლოდ ამომრჩეველთათვის. ნებისმიერ ამომრჩეველს შეეძლება ამ ნომერზე დამაკავშირდეს ყოველგვარი შეამავლების, ბურთების და მღივნების გარეშე“. მობილური ტელეფონის ნომერია 577 40 23 48.

აეთანდლო (ზურა) ჩხაიძემ პრესკონფერენციის დაწყებისთანავე ხაზი გაუსვა

იმას, რომ მობილურში ღია იქნება ჟურნალისტებთან მისი ურთიერთობა:

„იმედს გამოვიყენებ, რომ მობილურში ჩვენი ურთიერთობა ასოლოტურად ღია იქნება, ჩათვალთ, რომ დღისა და ღამის ნებისმიერ მომენტში მხად ვარ, ამომწურავი პასუხი გაქვთ ყველა იმ შეკითხვაზე, რომელიც ჩემზე დავაინტერესებთ“.

დეპუტატობის კანდიდატის თქმით, მან და თავისმა გუნდმა დღევანდელ დაიწყეს წინასწარჩენი კამპანიის მერე, დამამთავრებელი ეტაპი:

„დღეს წინასწარჩენი კამპანიის მერე, დამამთავრებელ ფაზას ვიწყებთ, შეიძლება ითქვას, რომ ფინიშის სწორზე ვავლით. ტექნიკურმა სამუშაოებმა საქმოდ დიდი დრო, ძალა და ენერგია წაიღო. ჩვენი შტაბის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერ ამას კარგად ვართვათ თავი. ახლა პრაქტიკულად ვიწყებთ იმ ეტაპს, რომელსაც ჰქვია საზოგადოებაში გასვლა. ისე არ გამოვით, თითქოს აქამდე მოსახლეობას არ შეხვედრივართ. შეხვედით და არაერთგზის, მაგრამ მობილური შეხვედრები სხვა სტადიისა და სასაითის იქნება, წინასწარჩენი კამპანიას რომ შეგვერება, ისეთი უფრო ფართო მასებთან გვექნება შეხვედრა და არა მხოლოდ იმ ადამიანებთან, რომლებიც დღევანდელ ჩვენთან ახლის დგანან, არამედ

ყველასთან, ვინც ასე თუ ისე ინტერესდება იმ პოლიტიკით, რა პოლიტიკის გატარებასაც აპირებს ჩვენი პარტია, ჩვენი ბლოკი“.

აეთანდლო (ზურა) ჩხაიძემ მოკლე თემისებურად წარმოგვიდგინა „ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობის“ ცრელი საარჩენი პროგრამა. უპირველესად ყურადღება გამახვილდა იფიქროვდნენ ზონებში დარეგისტრირებული ორდილეული პირებისათვის საქართველოში ქონების ფლობის აკრძალვაზე:

„ჩვენ ვევემთო, ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში, საკანონდებლო დონეზე ავრძობთ იფიქროვდნენ ზონებში დარეგისტრირებული ორდილეული პირების საქართველოში ქონების ფლობა. თქვენთვის ცნობილია, რას ნიშნავს ეს. ისიც ცნობილია, რომ ბევრი კოხხეთი ნიშანი ჩნდება იმ ადამიანების მიმართ, ვინც სერიოზულ ქონებას და ფულად რესურსებს ფლობენ და ამ რესურსებით გარკვეულ პოლიტიკურ ამინდს ქიჩანთ ქვეყანაში. მათი უმარტოლობის ფარგლებში დარეგისტრირებულია იფიქროვდნენ ზონებში, ანგარიშზეც იქ არის გახსნილი და პრაქტიკულად საზოგადოებისთვის ასოლოტურად დახურულია, რა რესურსებს ფლობენ ისინი, საიდან არის ეს, რამდენად სამართლებრივად სწორად არის მოპოვებული და ა. შ.“

დეპუტატობის კანდიდატმა ყურადღება გამახვილდა განათლების სისტემაში, შექმნილ საგანგაშო სიტუაციაზე, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში:

„არ ვიცი რამდენი ასეული უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს საქართველოში, მაგრამ ვიცი, რა დონეზე უმაღლესი განათლება. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დღეს ათათასობით სტუდენტია, რომლებიც სერიოზულ, სოლიდურ ფულს იხდიან სწავლის საფასურად ათასნაირი კრედიტებით, პროცენტებით სესხებით, მიღებული განათლება კი

ბოლოდება იმით, რომ იღებენ მუყაოს დიპლომებს, რომელიც არათუ საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში, არამედ საქართველოშიც არსად გამოდგება. ამიტომ, მიმჩნია, რომ ეს სისტემა ასოლოტურად, ფუნდამენტურად შესაცვლელია. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ყველგან ადამიანებს, სხვა არაფერი ხდება. პროგრამაში საუბარი გვაქვს განათლების სხვა საფეხურებზეც, პედაგოგთა ხელფასების ამაღლებაზე, ბავა-ბავების აღმზრდელებისთვის პედაგოგის სტატუსის აღდგენაზე“.

აეთანდლო (ზურა) ჩხაიძემ დადებითად შეფასა ვანდაცვის გატარებული რეფორმები, თუმცა ვევი გამოთქვა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი კიდევ დიდხანს გაუძლებს ამ დავტერეთას:

„ვანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმა ერთ-ერთი წარმატებულია შემოძლია ვთქვა, რომ მართლა მრავალმა ადამიანმა იფინო ეს სიკეთე, მაგრამ ასე გაგრძელება, ალბათ, შეუძლებელი იქნება. მეტყველებ, რომ ეს შემოღობის სახელმწიფო ბიუჯეტზე. აქ აუცილებლად შესაცვლელია რაღაც ვიცი, ამაზე ხელისუფლება ფიქრობს, მაგრამ ძალიან რთულია, სახელმწიფოსგან ამ თვალსაზრისით დახმარებას შექველადამანს უთხრა, ვერ დავაფინანსებ, ან ნაწილობრივ დავაფინანსებო.“

ვრავითარ კრიტიკას ვერ უძლებს თვითონ ვანდაცვის მუშაკების ანაზღაურება, მუხსელავად იმისა, რომ შემოსულები ვანდაცვის სფეროში არსებობს, მედპრესონალის ანაზღაურება პრაქტიკულად არის ძალიან მაღალი“.

დეპუტატობის კანდიდატმა ყველაზე ვრცლად ისაუბრა უბლოკო სტატუსზე, მკაცრად გააკრიტიკა ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა:

„განსაკუთრებით მინდა ყურადღება გავამახვილო ქვეყნის უბლოკო სტატუსზე, რაზეც ჩვენი ინციპტებით პარლამენტში

შესულია პროექტი დასარეგისტრირებლად. პარლამენტის სათანადო კომიტეტის სხდომის შემდგომად თუ შეუქმნლად უკვე მორეგ ჩამოვალა. ვფიქრობთ, რომ შეგნებულად არიღებენ თავს ამ საკითხის განხილვას. ლაპარაკია, იმაზე, რომ უნდა გამოცხადდეს უბლოკო სტატუსი, ავადგინოთ სუვერენიტეტი, საქართველო არ იქნება არც ერთი უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი ჩვენი ქვეყანა უნდა გამოვიყენოთ იმ სიტუაციიდან, რასაც ჰქვია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დაპირისპირების პოლიტიკა. ჩვენი საგარეო პოლიტიკა ვრავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ვერც დასავლეთის, ვერც ნატოს, ვერც ევროკავშირის მიმართულებით, საიდანაც უკვე რამდენი ხანია გვარწმუნებენ, რომ კარები იღება, კარებზე ვაკაკუნებთ, მაგრამ გამღები არავინ ჩანს.“


ერთი მიმართულებით ვერ შევღვართ, სამეფიოდ, მორე მიმართულებით ვიშოვეთ მტერი. მსხველდობაში მაქვს რუსეთის მიმართულება. ამ დანებულმა პოლიტიკურმა ანონებებმა და პოლიტიკურმა საქმიანობამ მეფიგანა იქამდე, რომ ქვეყანა დანერგვის პირასა, ვანდაცვილია საზოგადოება და, საერთოდ, თუ ასე გაგრძელდა, ძნელი სათქმელია, მოვასწრებთ თუ არა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ისეთი განსაკუთრებით გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში, როგორც ახლა ჩვენს არგელოვ არის შექმნილი. მსხველდობაში მაქვს ჩვენს მეზობელ ქვეყნებს მობინდარე პროცესები.“

რამდენიმე დღის წინათ საზოგადოების გარკვეული ნაწილი სიხარულით შეხვდა ინფორმაციას, რომ საქართველოს მიმართულებით დაიდრა ნატოს რაღაც სამხედრო აღჭურვილობა, ქვეითთა ძალები. პირდაპირ ვაცხადებ, ამამი სასიხარულო არაფერია, პირიქით, ამას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოყვეს, ისეთიც კი ჩვენს სახელმწიფოებრივ არსებობას, რომ შეეხება“.



შენი არჩევანის უზრუნველყოფა!

არჩევნები 2016



ცესკო

საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

იუბილე

არსენ კეჭაყმაძე – 85



მისი დონი

დაიბადა 1931 წელს, 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა მაშინდელი მახარაძის №1 საშუალო სკოლა, 1955 წელს წითელ დიპლომზე ამთავრებს ოდესის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს სწავლული აგრონომის სპეციალობით, იმავე წლიდან მუშაობას იწყებს ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, სოფელ შეკვეთილში დაარსა მასალათა გამოცდის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც პირადად ბატონი არსენი ხელმძღვანელობდა, 1968 წელს

დააწინაურეს ანასეულის ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. 1969 წელს, ცნობილ მეცნიერებთან ერთად მიაგნო, ცვილის, დღეს შრი-ლანკის რესპუბლიკაში, შემდგომ წლებში მუშაობდა დასავლეთ საქართველოს აგროქიმიის ლაბორატორიის გამგედ.

რამაღივები

საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოცირებული პროფესორი, ღირსების ორდენოსანი, რაიონული და საქალაქო რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, ოზურგეთის საპატიო მოქალაქე.

მისი ცხოვრების ერთი დღე

როცა ბატონი არსენი ინსტიტუტის დირექტორად ინიშნებოდა, აუცილებლად უნდა გასაუბრებოდა მოსკოვში საკავშირო „გლავჩაის“ მმართველს ნიკოლოზ როინიშვილს, რომელიც მხოლოდ რუსულ ენაზე საუბრობდა:

– ვი ჩო, ტოვარიშც კეჭაკმაღზე, ნე ხოტიტე გოვორიტ ნა იაზიკე ოკტიაბრსკოი რევილუციი?

არსენმა მშვიდად უპასუხა:

– კაკრაზ ოქტიაბრსკაია რევილუციია დალა მნე პრავო, გოვორიტ ნა როდნომ იაზიკე.

ამის შემდეგ ბატონი როინიშვილი არსენს და სხვა დანარჩენ ქართველობას მხოლოდ ქართულად ესაუბრებოდა.

მისი ახლოვლება

მამა – შოთა კეჭაყმაძე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი, წლების მანძილზე მუშაობდა სოფლის მეურნეობის დარგში ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

დედა – ზინაიდა თოხაძე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

მეუღლე – ქეთევან გამყრელიძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

შვილები – ნინო, სწავლული აგრონომი; შოთა ეკონომისტი,

ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას სულიერ ცხოვრებაზე ალბათ თვით ადამიანები ახლენ, რაც უფრო დაბ-ვახლოვს შამთა მდინარეზე, მით უფრო ჭეშვარიტი ხდება დაუოკებელი სურვილი საზვარძელ ადამიანებთან ურთიერთობისა – აი, რა არის სათავე სულიერი სიმდიდრისა.

ტორი, პროფესორი, პოეტი.

ჩემი არსენი

იგი მართლაც განუმეორებელი პიროვნებაა, მისი განათლებით, იუმორით, კაცთმოყვარეობით და სიმართლით, ყოველთვის ვალდებულად თვლის, რომ დაეხმაროს და გვერდით დაუდგეს ვისაც უჭირს, ამიტომ უფვარს ყველას, ღიმილით ესაუბრებიან.

მთავარი არის სუფთა გზებით იარო ქვეყნად,

აბა, ასაკი რა სირცხვილად მოსატანია,

ვიცი, რატომ ხარ ასე ლაღი, ამაღლებული,

უკან მოხედვის არ გეშინია და მიხარია.

(ნინო საკანდელიძე, სახალხო არტისტი)

მართლა, ბატონ არსენს უკან მოხედვის არ ეშინია, რადგან ყოველთვის მართალი საქმის მკეთებელია, იგი წლების მომატებას იუმორით უყურებს. ბავშვობის მოგონებებს კი სევდა ახლავს, განიცდის, რომ მის გვერდით აღარ არიან მისი სიყრმის მეგობრები, სულ ახლახანს გარდაცვლილი ვალიკო ჩანჩიბაძე, მიშა ცენტერაძე, თანაკლასელები ამირან ვიერე-

შვილი).

მეორფასი მეგობარი არსენ კეჭაყმაძე 85 წლისაა.

გულით და სულით გილოცავთ, ჩემო „შოთაევი“ საიუბილეო წელს. შენ ბედნიერი კაცი ხარ, რომ გარშემო საყვარელი ადამიანები გახვევია, რომ შენი საქმისთვის არასოდეს გილაღატია, რომ ღირსეულად „მოისროლე“ 85 წელი და მხნედ შეუდექი ცხოვრების აქტიურად გაგრძელებას. შენ დღესაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობ, ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს და საერთოდ ასაკსაც თავისი ხიბლი აქვს და საერთოდ ასაკსაც ადამიანი ქმნის. შენ სიბერე ასე ადვილად ვერ მოგერევა.

მინდა დაგლოცო და მოგეფერო, ღმერთმა ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოს.

ბასუტა ოთხმეფური.

P.S. ერთი სათხოვარი მაქვს, მასთან ვისაც ეს ეხება, იქნებ იმ შენი ინსტიტუტის წინ თითქმის მთელი ცხოვრება მიუძღვნე, ერთი ვარსკვლავიც გაგისხნან.

ჯვარიმინდორის დღესასწაული

წუგზარ ასათიანი



ჯვარიმინდორი გომისთა-ჭვანას (შუახვეის მუნიციპალიტეტი) სამიო გზაზე მდებარეობს და მისი ისტორია ასეთია: 1778 წელს, თურქი მოძალადეებისაგან ჭვანის ეკლესიის დარბევს შემდეგ მოძღვარმა, მამა ზაქარიამ სიწმინდეები გურიაში, შემოქმედის ეკლესიაში განიხნა. გზად ამ მინდორში შეჩერდა, უფალს შეავედრა ხატიც და ჯვარიც და ამიტომ ჰქვია ამ მინდორს ჯვარიმინდორი (რამაზ სურმანიძე, „მოგზაურობანი“).

